ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №81

02.04.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"), ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", მაჟორიტარი წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 25 მარტის №12-032108475-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 25 მარტის №12-032108476-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 26 მარტის №12-032108568-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107747-03 წერილი; კომისიის 2021 წლის 19 მარტის სხდომაზე გადადებული საკითხი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 1-ლი აპრილის №12-032109177-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 25 მარტის №12-032108475-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 მარტის №21.384.442 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01202111258-67(№0120342695-67; სამსახურეობრივი ბარათი: №16-01210811098-67); №01210742909-67 (№01210763304-67)).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01202111258-67(№0120342695-67; სამსახურეობრივი ბარათი: №16-01210811098-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.002.074) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.002.074) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 დეკემბრის №426 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნული ცვლილების შემდეგ, ინტერაქტიულ რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, №01.12.12.002.074 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ ხორციელდება სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.002.074) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მის მომიჯნავედ სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01210742909-67 (№01210763304-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩა №76-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.95.518) ნაწილზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი

სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის №01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1-ლი მარტის №56 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა №81.02.95.518 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, ხოლო №81.02.95.518 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ - ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის, სარეკრეაციო ზონისა (რზ) და არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენების მოხსნა.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის მიმდებარედ ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩა №76-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.95.518) ნაწილზე და მიმდებარედ ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის მიმდებარედ ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01202111258-67(№0120342695-67; სამსახურეობრივი ბარათი: №16-01210811098-67) და №01210742909-67 (№01210763304-67)) განცხადებასთან (სულ: 2 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 25 მარტის **№12-032108475-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01202111258-67(№0120342695-67; სამსახურეობრივი ბარათი: №16-01210811098-67); №01210742909-67 (№01210763304-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 25 მარტის **№12-032108475-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01202111258-67(№0120342695-67; სამსახურეობრივი ბარათი: №16-01210811098-67); №01210742909-67 (№01210763304-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 25 მარტის №12-032108476-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 მარტის №21.381.438 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 10 წინადადება - №01210712249-67(№01210463616-67); №01210181-67; №01210762734-67; №012107231-67; №01210701478-67; №01210771021-67; №01210342896-67 (№01210292574-67); №01210613696-67; №01210753780-67; №01210814794-67(№01210563382-67)).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) – **№01210712249-67(№01210463616-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში (ნაკვეთი 041/295) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.041.295) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 24 თებერვლის №0121055401 წერილის მიხედვით, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ტიმოთე ბელიოს ქუჩაზე ჰ. კლაპროთისა და ა. ლამბერტის ქუჩების კვეთებამდე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) პარამეტრის (სიგანის) შემცირება მოხდეს **8.5 მეტრამდე** ისე, რომ მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონის გაუქმება მოხდეს შესაბამისი პროპორციით.

აღნიშნულის შესაბამისად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებულ გზასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.72.14.041.295 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის №77-21 დადგენილებით სოფელ დიღომში განხორციელდა ფუნქციური ზონის ცვლილება და საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილზე გავრცელდა საცხოვრებელი ზონა (სზ). შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია №01.72.14.041.295 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გავრცელებულ იქნას მომიჯნავედ არსებული ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში (ნაკვეთი 041/295) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.041.295) ნაწილზე

სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ნაწილობრივ ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ) და მის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) – **№01210181-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.18.273) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება.

მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №72.16.18.273 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 19 მარტის №18-01210782653 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.18.273) და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) – **№01210762734-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის XV ჩიხი, №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.08.621) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 21 მარტის №0121080134 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია და ის ვრცელდება არსებული შენობის ნაწილსა და მის მიმდებარედ განთავსებულ ობიექტზე. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, №81.02.08.621 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ამასთან, საპროექტო ობიექტის მიმდებარედ გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) აცდენილია ფაქტობრივი გზის გავრცელების კონტურს. შესაბამისად, მიზანშეწონილია შესწორდეს აღნიშნული ხარვეზი, კერძოდ, №81.02.08.453 და №81.02.08.621 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის არსებული მდგომარეობის შესაბამისად გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა, რომლის სიგანეც განისაზღვროს დაახლოებით 6-7 მეტრით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის XV ჩიხი, №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.08.621) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) – **№012107231-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდი ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.08.04.619 და მიმდებარედ) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 19 მარტის №01210782643 წერილის მიხედვით, თანახმაა №012107231-67 განცხადებით წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) შეიცვალოს სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2).

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში მნიშვნელოვანი უფლებამონაცვლეობის განხორციელება.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) – **№01210701478-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №54-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.232) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.17.10.002.232 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

აღნიშნული ტერიტორიის ნაწილზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, კვლავ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) ვრცელდება. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია, ისევე, როგორც მის მიმდებარედ არსებული საკადასტრო ერთეულები, განვითარებულია საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონის ფარგლებში, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.

ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ იმ საკადასტრო ერთეულებზეც, რომლებზედაც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, მთლიანად ან ნაწილობრივ ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №54-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.232) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) – **№01210771021-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №27გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.005-ის მიმდებარედ) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 23 მარტის №01210823479 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ვინაიდან, 2021 წლის 18 თებერვლის №16-01210492604 წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან,

საპროექტო ტერიტორიაზე შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 18 მარტის №01210773326 წერილით, თანახმაა განხორციელდეს ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №27ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.005-ის მიმდებარედ) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) – **№01210342896-67 (№01210292574-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ოქროყანას დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.01.002.298-ის ნაწილი) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ დაყენებული მოთხოვნა ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ, მიზნად ისახავს სკვერის მოწყობას №01.18.01.002.298 საკადასტრო ერთეულის დანართის სახით წარმოდგენილ მონაკვეთზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 15 თებერვლის №18-01210433466 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) – **№01210613696-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.21.09.184; №81.21.01.670; №81.21.04.926) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონითა (სსზ) და საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 18 მარტის №01210772564 წერილის მიხედვით, მოთხოვნისამებრ საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, სატრანსპორტო ზონის დარჩენილი პარამეტრი საკმარისი იქნება სამომავალოდ შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში,

სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონითა (სსზ) და საცხოვრებელი ზონა 2-ით ცვლილების წინააღმდეგი არ არის. ასევე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კვეთს კერძო საკუთრებას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებით დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში დარჩენილი ხარვეზის გასწორების მიზნით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონითა (სსზ) და საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) იცვლება საპროექტო მიწის ნაკვეთების მიმდებარედაც.

ზემოღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.21.09.184; №81.21.01.670; №81.21.04.926) და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონითა (სსზ) და საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) – **№01210753780-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.47.718) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენით მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 18 მარტის №01210772401 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მომართვის მიზნობრიობას წარმოადგენს მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა.

ზემოაღნიშნული ცვლილების შემდეგ ინტერაქტილ რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით სარეკრეაციო ზონა (რზ) იცვლება მიმდებარედ არსებული სატრანპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.47.718) ნაწილზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) – **№01210814794-67(№01210563382-67)) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის II შესახვევი, №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის

(საკადასტრო კოდი: №01.17.11.014.039) ნაწილზე მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწლის - რუკის მიხედვით, №01.17.11.014.039 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და განვითარებულია დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონის ფარგლებში. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებითა და მისი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება ხორციელდება №01.17.11.014.039 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის II შესახვევი, №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.11.014.039) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01210712249-67(№01210463616-67); №01210181-67; №01210762734-67; №012107231-67; №01210701478-67; №01210771021-67; №01210342896-67 (№01210292574-67); №01210613696-67; №01210753780-67 და №01210814794-67(№01210563382-67) განცხადებასთან (სულ: 10 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 25 მარტის **№12-032108476-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №01210712249-67(№01210463616-67); №01210181-67; №01210762734-67; №012107231-67; №01210701478-67; №01210771021-67; №01210342896-67 (№01210292574-67); №01210613696-67; №01210753780-67; №01210814794-67(№01210563382-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 25 მარტის **№12-032108476-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №01210712249-67(№01210463616-67); №01210181-67; №01210762734-67; №012107231-67; №01210701478-67; №01210771021-67; №01210342896-67 (№01210292574-67); №01210613696-67; №01210753780-67; №01210814794-67(№01210563382-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 26 მარტის №12-032108568-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა" (დანართი №1) და „თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში" (დანართი №1.11). კერძოდ, ცვლილება ეხება

ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებით ,,A" არეალს.

იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიაზე განსაზღვრულ ,,A" არეალში სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ტერიტორიაზე არსებული სახასიათო ლანდშაფტის მაქსიმალურად შენარჩუნების პირობით.

ვინაიდან, გრაფიკული დანართით წარმოდგენილ კონტურში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისთვის აღნიშნული რეგულირება გადაულახავ წინააღმდეგობას წარმოადგენს და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოცემული ტერიტორიის დამოუკიდებლად (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით) განვითარება დასაშვებია, იგი მოიხსნება შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკიდან (დანართი №1.11). აღნიშნული ცვლილება ასევე აისახება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ – რუკაზე" (დანართი №1).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 26 მარტის **№12-032108568-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა" (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში" (დანართი №1.11) შესატანი ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 26 მარტის **№12-032108568-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა" (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში'' (დანართი №1.11) შესატანი ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107747-03 წერილი; კომისიის 2021 წლის 19 მარტის სხდომაზე გადადებული საკითხი)

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2021 წლის 19 მარტის კომისიის სხდომაზე (ოქმი №80) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 18 მარტის №12-032107747-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, მიმდინარე სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, გეგმავს დედაქალაქში საბაგირო ტრანსპორტის განვითარებას. ამ მიმართულებით, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ჩატარდა შესაბამისი კვლევით-ანალიტიკური სამუშაოები, რის შედეგადაც შეფასდა თბილისში საბაგირო ტრანსპორტის განვითარების მიზანშეწონილობა და პოტენციალი. ჩატარებული კვლევების საფუძველზე (მათ შორის, აღსანიშნავია, საკონსულტაციო კომპანია „სისტრას" 2016 წლის საბაგირო ტრანსპორტის გენერალური გეგმა და საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკის" 2019 წლის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება), სამგორი/ისანი-ვაზისუბნის და სარაჯიშვილი-ზღვისუბნის კორიდორები განისაზღვრა როგორც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული საბაგირო დერეფნები, რის შესაბამისადაც მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, საქართველოს მთავრობის შუამდგომლობისა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ფრანგული საკონსულტაციო კომპანია "სისტრა" ამჟამად ახორციელებს პროექტის მოსამზადებელ კვლევით სამუშაოებს, ასევე, მიმდინარეობს რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო დერეფნის სამშენებლო სამუშაოები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 16 მარტის №16-01210751178 წერილით წარმოდგენილი დანართის შესაბამისად, მონიშნული საბაგირო დერეფნები დაცვის ბუფერების (სამშენებლო და სანებართვო შეზღუდვის არეალების მითითებით) შესაბამისად საჭიროა აისახოს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში.

შესაბამისად, განხორციელებული კვლევისა და სამუშაოების გათვალისწინებით, ცვლილება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში (დანართი №1) ითვალისწინებს შემდეგს:

პერსპექტიული ისანი-მეტრომშენი-ვაზისუბნისა და სარაჯიშვილი-ზღვისუბნის დამაკავშირებელი საბაგირო დერეფნების კორექტირებასთან ერთად, არსებული რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის დამაკავშირებელი დერეფნის ასახვას, სანებართვო-სამშენებლო შეზღუდვების დატანით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 მარტის **№12-032107747-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში (დანართი №1) შესატანი ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 18 მარტის **№12-032107747-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში (დანართი №1) შესატანი ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 1-ლი აპრილის №12-032109177-03 წერილი)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1-ლი აპრილის №21.420.483 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №06-0121077516-01).

ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - **№06-0121077516-01 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №4-ის და №6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.72.14.055.138; №01.72.14.055.139) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ საქმიანიო ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №4-ის მიმდებარედ, საქართველოს პროკურატურის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.055.138 და №01.72.14.055.139), თბილისის პროკურატურის და თბილისის რაიონული პროკურატურების განთავსების მიზნით, იგეგმება ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა. ვინაიდან, №01.72.14.055.138 და №01.72.14.055.139 საკადასტრო მიწის ნაკვეთების საზღვრებში არსებული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) საკმარისი არ არის თბილისის პროკურატურისა და მისი სტრუქტურული დანაყოფების საშტატო ნუსხით გათვალისწინებული რაოდენობის თანამშრომლების, პროკურატურის საქმიანობისთვის სამუშაო სხვა სივრცეების და ზემოაღნიშნული მიზნებისათვის საჭირო ფართის შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის, შესაძლებელია, ამავე მიწის ნაკვეთების საზღვრებში არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) (რომლის ძირითად ნაწილზე მწვანე ნარგავები არ არის განთავსებული), ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის მიზნებისათვის გამოყენება.

ქალაქ თბილისის მუნციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 1-ლი აპრილის №18-01210912106 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.72.14.055.138; №01.72.14.055.139) ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება.

ასევე, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №06-0121077516-01 განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 1-ლი აპრილის **№12-032109177-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №06-0121077516-01) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 1-ლი აპრილის **№12-032109177-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №06-0121077516-01) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი